საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/25

ქ. ბათუმი 28 მარტი, 2022 წ.

ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 15 თებერვლის №01-02/47 ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე” ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის N05 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მარტის 07-01/08 გადაწყვეტილების, იურიდიული და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№5, 22.03.2022) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 15 თებერვლის №01-02/47 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს იურიდიული და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგები **დანართი 1**-ის შესაბამისად.

2. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან ,,აფილირების შეთანხმებები“/შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს წინამდებარე დადგენილების **დანართი 1-ში** აღნიშნული ვადების, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის“ და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ თანახმად.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,კონკურსები“ და ,,აკადემიური საბჭოს დადგენილებები“).

4. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, კონკურსში გამარჯვებულ პირებს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 მარტის №06-01/25 დადგენილების

დანართი 1.

№	იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტი	საკონკურსო მიმართულებები	აკადემიური თანამდებობის/საშტატო ერთეულის დასახელება	გამარჯვებული კონკურსანტი	გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ვადა
1	სამართლისა და საჯარო მმართველობის	საერთაშორისო სამართალი	პროფესორი	ლევან ჯაყელი	01.04-2022-დან 01.04.2028-მდე
		საჯარო მმართველობა	ასისტენტ პროფესორი	გიგა ფარტენაძე	01.04-2022-დან 01.04.2026-მდე
2	საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	საერთაშორისო ურთიერთობები	ასისტენტ-პროფესორი	არჩილ ვარშალომიძე	01.04-2022-დან 01.04.2026-მდე
3	ფსიქოლოგიის	ფსიქოლოგია	ასისტენტ-პროფესორი	მაია თოიძე	01.04-2022-დან 01.04.2026-მდე